F

ლიმონა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

№3. 2006 წელი

გამოცემის 102-ე წელი

ქმაწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო;
ვინ არის, სიდამ მოხულა,
სად არის, წავა სადაო?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარი აბრამიშვილი

მელა და კუ

კუ მიღოღავს ზურგზე კასრით,
მიდის ნელა, ნელა.
ხაით მიგაქვს ეგ წყალიო,
წინ შემოხვდა მელა.
როგორ, არ გაგიგიაო?
ხანძარია ტყეში.
ჩასაქრობად არ იკმარებს
მგონი, წვიმის თქეშიც.
რა ხანძარი,
რის ხანძარი? –
გაეცინა მელას,
– გუშინდელზე მეუბნები?
ის ჩააქრეს ხელად.
მე შორიდან ვუყურებდი,
რა ხდებოდა ტყეში,
წელს ვიტკივებ და ვერ ვზიდე
წყალი ერთი ჰეშვიც.

მხატვარი ლაშა სულაკაური

ირმა მალაციძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუნთუშის, ღვეზლისა და ორცხობილას ამბავი

ერთი ქალაქის ერთ მყუდრო ქუჩაზე აგურის პატარა შენობა იდგა. ერთი შეხედვით დიდ კოლოფს მოგაგონებდათ, აი ისეთს, ბავშვები სათამაშოებს რომ ინახავენ ხოლმე. ამ შენობაში ერთი ტკბილი დაწესებულება იყო. დარწმუნებული ვარ, ყველა თქვენგანს უყვარს ასეთ დაწესებულებაში დედასთან ერთად შევლა, იმიტომ რომ იქ თქვენთვის ყოველთვის გამოიძებნება ისეთი რამ, რითაც სიამოვნებით ჩაიკოკლოზინებთ ყელს. დიახ, დიახ, ეს საკონდიტრო გახლდათ, რომლის უზარმაზარ ფანჯრებში დატანებული სარკმლებიდან ისეთი მადის აღმძვრელი და სასიამოვნო სურნელი გამოდიოდა, რომ გულგრილად ვერავინ ჩაუვლიდა.

რას აღარ ნახავდით საკონდიტროს ვიტრინებში — ფერად-ფერადი ყვავილებით, გედებითა და ვარდებით მორთულ ტორტებს, შოკოლადმოსხმულ ნამცხვრებს, ათასგვარ ფუნთუშებს, კრეკერებსა თუ შაქარლამებს. მოკლედ, ყველაფერი ისეთი მაცდური და გემრიელი ჩანდა, რომ არჩევანის გაკეთება ყველას უჭირდა.

ვიტრინაში ყველაფერს მკაცრად ჰქონდა მიჩენილი ადგილი და გადანაცვლების უფლება არავის ჰქონდა. ზედა თაროები ყველაზე საპატიოდ ითვლებოდა და იქ, როგორც წესი, ტორტი, კრემიანი, თხილმოფრქვეული და შოკოლადიანი ნამცხვრები ცხოვრობდნენ.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, გეტყვით, რომ ამ საკონდიტროში, ვიტრინის ყველაზე ქვედა თაროზე კრემიანი ღვეზელი, ჰაეროვანი ფუნთუშა და ორცხობილა ბინადრობდნენ. ამიტომ იყო, რომ მათ ვერავინ ამჩნევდა და სულ ტყუილად მოელოდნენ მყიდველს. ტორტები და შოკოლადიანი ნამცხვრები, რა თქმა უნდა, ზემოდან უყურებდნენ საბრალოებს — აქაოდა, ჩვენზე ისეთი მოთხოვნაა, თქვენ ზედაც არავინ შემოგხედავთო. რა დასამალია და ასეც იყო. ცხოვრობდნენ ასე, უხმოდ, ჩუმად, ბედს შეგუებულნი და მხოლოდ გამვლელ-გამომვლელის ფეხებს ხედავდნენ ვიტრინის ფანჯრის მიღმა. ხანდახან ერთმანეთში თუ საუბრობდნენ, უფრო სწორად კამათობდნენ. ყველაზე ხშირად ღვეზელი და ფუნთუშა კინკლაობდნენ. კრემიანი ფუნთუშა ამბობდა:

— მე თქვენზე გემრიელი ვარ... გულში ისეთი კრემი მიდევს, ისეთი... რძით და კარაქით დამზადებული... ბავშვებს ძალიან უყვართ კრემიანი ღვეზლით ყელის ჩაკოკლოზინება. თქვენ კი რა — ერთი ცარიელი ცომი, მეორე ხომ საერთოდ გამომშრალი და გამხმარი ხართ. არა, ჩემთან რას მოხვალთ. როცა იქნება, მოვა პატარა ბიჭი ან გოგონა და დედიკოს სთხოვს:

— დედიკო, აი, ეს ღვეზელი მიყიდე... დედა ეკლერს შესთავაზებს: — გასინჯე, ნახე, რა გემრიელი ნამცხვარია, თანაც შოკოლადი აქვს მოსხმული! გოგონა კი გაჭირვეულდება, არა, მე ეს მინდა... მხოლოდ კრემიანი ფუნთუშა მინდაო. ისიც ადგება და უყიდის. თქვენ კი დარჩებით ამ ვიტრინაში და თქვენს ყიდვას არავინ მოინდომებს.

ძალიან ბრაზობდნენ ფუნთუშა და ორცხობილა.

— რა ურცხვი ვინმეა, ეს ღვეზელი — ეჩურჩულებოდა ფუნთუშა, — თავი ისე მოაქვს, თითქოს ვარდებით მორთული ტორტი ან ქოქოსმოყრილი და შოკოლადში ამოვლებული ნამცხვარი იყოს. ერთი კრემიანი ღვეზელია, სხვა ხომ არაფერი? მხოლოდ შენზე რომ ეთქვა, კიდევ მესმის, რაც უნდა იყოს, ერთი უბრალო, გამხმარი ორცხობილა ხარ და მეტი არაფერი, მაგრამ ჩემზე ამის თქმას



როგორ ბედავს?

ორცხობილას არ მოსწონდა ღვეზელი, ფუნთუშისგანაც სწყინდა ამის მოსმენა, მაგრამ წყენას მალავდა და ცდილობდა, ორივე დაეშოშმინებინა:

— დაწყნარდი, საყვარელო. შენსავით ფუმფულა არაფერი მინახავს ამქვეყნად. ნამდვილად არ ხარ ღვეზელზე ნაკლები. არ ღირს ნერვიულობა, — დაამშვიდებდა-ხოლმე აღელვებულ ფუნთუშას და მერე ღვეზელს მიუბრუნდებოდა:

— ძვირფასო ღვეზელო. ვიცი, რომ მართლაც უგემრიელესი კრემი გიდევს გულში, ვიცი, რომ ბავშვებს ძალიან მოსწონხარ, მაგრამ აბა შეხედე, რა ფუმფულა და ჰაეროვანია ჩვენი ფუნთუშა, ან შაქრის ფხვნილი რარიგ უხდება, ფერუმარილივით რომ აყრია ფუმფულა ლოყებზე. ძალიან გთხოვთ, ნუ იჩხუბებთ.

ამის შემდეგ ფუნთუშა და ღვეზელი დროებით რიგდებოდნენ და კინკლაობას თავს ანებებდნენ. მაგრამ მყიდველი არა და არ ჩანდა. იმდენი დრო გავიდა, იმდენი, რომ...

— ღმერთო, რა მჟავე სუნი დგას? - იკითხა ორცხობილამ.

— მართლაც, რაღაც მჟავე სუნი მეც მცემს, — კვერი დაუკრა ფუნთუშამაც. მხოლოდ კრემიანი ღვეზელი იყო გასუსული. ვერ ამხელდა, თორემ მიხვდა, რომ გაფუჭდა და მჟავე სუნი აუვიდა. არა, ახლა ნამდვილად აღარ გაიყიდებოდა და ფუნთუშა და ორცხობილა მასხრად აიგდებდნენ. მეზობლებიც მიხვდნენ, რაც ხდებოდა, მაგრამ დაცინვა არც უფიქრიათ. პირიქით, თანაგრძნობით გადახედეს.

— მორჩა, ყველაფერი დამთავრდა, — ატირდა ღვეზელი.

— დამშვიდდი, ძვირფასო, რა მოხდა, ვის არ მოსვლია. მერე რა, რომ კრემი არა მაქვს, მეც საკმაოდ მოვძველდი, აღარც ისეთი ფუმფულა ვარ, როგორიც ვიყავი, — გაუქარწყლა დარდი ფუნთუშამ.

— მართალია, სულაც არ გამოიყურები ისე ცუდად, როგორც შენ გგონია, — მხარი აუბა ორცხობილამაც. თუმცა სამივემ კარგად იცოდა, რომ ღვეზელს მალე სანაგვე ყუთში გადაუძახებდნენ. ასეც მოხდა.

— მშვიდობით, ჩემო კარგებო! — სევდიანად დაიძახა ღვეზელმა და სიტყვის დამთავრება ძლივს მოასწრო, რომ უკვე ურნაში ეგდო.

— ახლა ჩემი ჯერია, ასე ძველს ვინღა მიყიდის, მალე ჰაერღუმელში შემაგდებენ და ჩემგან ისეთივე ორცხობილას გააკეთებენ, როგორიც შენ ხარ, — ამოიოხრა ფუნთუშამ. მართლაც სულ მალე ფუნთუშა ჰაერღუმელისაკენ წააცუნცულეს.



მხატვარი
ვაჟა ქურხული

სწორედ იმ დროს, როცა თაროზე ეულად დარჩენილი ორცხობილა მწარე ფიქრებს მისცემოდა და მეზობლებს მისტიროდა, საკონდიტროში პატარა ბიჭი შემოვიდა:

— თუ შეიძლება, ორცხობილა მომეცით. ჩემი დაიკო ავად გახდა. ექიმმა თქვა, რამდენიმე დღის განმავლობაში მხოლოდ ორცხობილა და ჩაი მიეცითო.

უცებ გამოცოცხლდა ორცხობილა:

— მე? ეს მე ვჭირდები ვინმეს? საბრალო ჩემი მეზობლები, რა მოხდებოდა, ისინიც ეყიდა რომელიმე ბიჭუნას ან გოგონას. მაგრამ არა უშავს. რადგან მე ვიღაცას დავჭირდი, გამოდის, რომ ფუნთუშაც გამოადგება სხვა ავადმყოფ ბავშვს, ის ხომ მალე ორცხობილად გადაიქცევა!

ორცხობილა ლამაზ პაკეტში ჩადეს და ბიჭუნას დაიკოსთან გაატანეს. უნდა გენახათ, რა ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე ორცხობილას. ძალიან უნდოდა თავისი მეგობრებისათვის დაეძახა:

— გულს ნუ გაიტეხთ, ჩემო ძვირფასებო, ამქვეყნად ყველას ჩვენი ადგილი გვაქვს, ოდესმე ყოველი ჩვენგანი ვინმეს დავჭირდებით, მხოლოდ იმედი არ უნდა დავკარგოთ!

მაგრამ რა აზრი ჰქონდა — ფუნთუშა ჰაერღუმელში უკვე თითქმის ორცხობილად იყო გადაქცეული, ღვეზელი, საბრალო ღვეზელი კი ნაგვის ურნაში ეგდო და არაფერიც აღარ ესმოდა.

ნათია მერკვილაძე
რომანოზ დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალისო მათემატიკა

წინა წერილში ვისაუბრეთ ალექსანდრე მაკედონელსა და მის მასწავლებელზე – საქვეყნოთ სახელგანთქმულ ფილოსოფოს ანაქსიმენეზე. ოცდაოთხი საუკუნეა კაცობრიობა ვერ ივიწყებს, რა ოსტატურად გამოიყენა ანაქსიმენემ მათემატიკური ლოგიკის ერთ-ერთი უბრალო კანონი: თუ გამონათქვამი ჭეშმარიტია, მაშინ მისი უარყოფა მცდარია და პირიქით. სწორედ ეს დებულება დაგვჭირდება ჩვენ, ქვემოთ განხილული ამოცანების ამოსახსნელად. ასეთ ამოცანებს ლოგიკური ამოცანები ეწოდება.

ამოცანა. სპორტულ შეჯიბრებაში ანი და ნინო ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს პირველი და მეორე ადგილებისათვის. ანი იყო პირველი, თქვა დათომ. როგორ გაინაწილეს გოგონებმა ადგილები, თუ დათომ იცრუა?

ამოცანის პირობიდან ჩანს, რომ გამონათქვამი **ანი იყო პირველი** მცდარია. მაშინ ჭეშმარიტი იქნება **ანი არ იყო პირველი,** ხოლო თუ ანი პირველი არ იყო, მაშინ ის მეორე ყოფილა, პირველი ადგილი კი ერგო ნინოს.

გამონათქვამი **ანი იყო პირველი,** მოკლედ ასე შეიძლება ჩავწეროთ: $ა_1$; ის ფაქტი, რომ ეს გამონათქვამი მცდარია, ასე ჩაიწერება: $ა_1=0$. $ა_1$ გამონათქვამის უარყოფა ასე ჩაიწერება $\neg ა_1$. როგორც ვიცით, ეს გამონათქვამი ჭეშმარიტია, ამიტომ წერენ: $\neg ა_1=1$.

ამოცანა: სპორტულ შეჯიბრებაში ანი, ნანა და ლია ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს პირველი, მეორე და მესამე ადგილებისთვის. შეჯიბრებას თვალყურს ადევნებდა დათო და გია. მათ განაცხადეს, რომ:

დათო – ნანა იყო მეორე, ლია იყო მესამე.

გია – ლია იყო მეორე, ნანა იყო პირველი.

თითოეულ პასუხში ერთ-ერთი გამონათქვამი ჭეშმარიტია, ხოლო მეორე – მცდარი. რომელი ადგილი დაიკავა თითოეულმა გოგონამ?

გამონათქვამი **ნანა იყო მეორე,** შეიძლება ასე ჩავწეროთ: $ნ_2$, ხოლო ლია იყო მესამე – $ლ_3$. ასევე გამონათქვამი **ლია იყო მეორე,** შეიძლება მოკლედ ასე ჩავწეროთ: $ლ_2$, ხოლო **ნანა იყო პირველი** – $ნ_1$.

ამოცანის პირობის თანახმად $ნ_2$ და $ლ_3$ გამონათქვამებიდან ერთ-ერთი ჭეშმარიტია, ხოლო მეორე – მცდარი.

ამოცანის პირობიდან ჩანს, რომ,

დათო: $ნ_2+ლ_3=1$

გია: $ლ_2+ნ_1=1$

ვთქვათ, $ნ_2=1$, მაშინ $ლ_3=0$, ანუ $ლ_3$ მცდარია, მაშინ $ლ_1=1$, ანუ ლიას დაუკავებია პირველი ადგილი, მაშინ გიას გამონათქვამში $ლ_2=0$, ამიტომ $ნ_1=1$. მივიღეთ, რომ $ნ_2=1$ და $ნ_1=1$ ორივე ჭეშმარიტი გამონათქვამია, მაგრამ ნანა ერთდროულად პირველ და მეორე ადგილებს ვერ დაიკავებდა, ამიტომ ჩვენი დაშვება $ნ_2=1$ არასწორია.

ახლა ვთქვათ $ნ_2=0$, მაშინ $ლ_3=1$, ეს ნიშნავს, რომ ლიას დაუკავებია მესამე ადგილი. რადგანაც $ნ_2=0$, $\neg ნ_2=1$ და რადგანაც მესამე ადგილი უკვე დაკავებულია და ნანას არ დაუკავებია მეორე ადგილი, გამოდის: $ნ_1=1$; მეორე ადგილი კი დაუკავებია ანის.

ე. ი. $ნ_1=1$, $ა_2=1$, $ლ_3=1$.

შეამოწმეთ!

1 2 3 4 5 6 7 9 X 9 = 1 1 1 1 1 1 1 1 1
2 3 4 5 6 7 9 X 9 = 2 1 1 1 1 1 1 1
3 4 5 6 7 9 X 9 = 3 1 1 1 1 1 1
4 5 6 7 9 X 9 = 4 1 1 1 1 1
5 6 7 9 X 9 = 5 1 1 1 1
6 7 9 X 9= 6 1 1 1
7 9 X 9 = 7 1 1
9 X 9 = 8 1

მსგავსი ნახევრად სიმეტრიული თუ სიმეტრიული ნამრავლების პოვნა ადრე დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა. ახლა, მიკროკალკულატორის მეშვეობით თქვენც შეგიძლიათ ეძებოთ და ადვილად იპოვოთ საინტერესო და მოულოდნელი ტოლობები.

ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალი

გერგეტის სამება ხევის უმთავრესი სალოცავია. გალავნით შემოზღუდულ ხუროთმოძღვრულ კომპლექსში შედის სამების გუმბათოვანი ტაძარი (XIV ს.), სამრეკლო და საბჭეო. ნაგებია კარგად გათლილი ანდეზიტის კვადრებით. საბჭეოში იკრიბებოდა უხუცესთა საბჭო, რომელიც თემის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს წყვეტდა.

ვახუშტი ბაგრატიონი გერგეტის სამებას მიიჩნევს მცხეთის საკათალიკოსოს სამკაულთა და წმინდა ნინოს ჯვრის სახიზარ ადგილად.

გერგეტი

ესპანეთის რუკაზე რეგიონების კონტურებს მიუსადაგე მოცემული სილუეტები და გაიგებ, სად მდებარეობს ამ ქვეყნის ესა თუ ის რეგიონი, რუკაზე მოძიებული მხარეები შესაბამისად დანომრე და გააფერადე.



ესპანეთის გერბი


1 ესტრემადურა

2 ბასკონია

3 კასტილია ლა მანჩა

4 მურსია

5 ანდალუსია

6 ასტურია

7 კატალონია

8 არაგონი


9 ლასტილია და ლეონი

10 ვალენსია

11 კანარის კუნძულები

12 გალისია

13 ბალეარის კუნძულები

14 კანტაბრია

15 მადრიდი

16 ლა-რიოხა

17 ნავარა

ესპანეთის სამეფო



Reino de España



მადრიდის გერბი

ე ს პ ა ნ ე თ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

... ოცნების ქალაქი, ხელოვანთა შთაგონების წყარო, შეყვარებულების ქალაქი, მუზების ქალაქი – რას არ უწოდებენ საფრანგეთის დედაქალაქს. პარიზი ამ ქვეყნის სავიზიტო ბარათად იქცა. მთელ მსოფლიოშია განთქმული მისი ღირსშესანიშნაობანი, რომელთა ნაწილიც ახლა უნდა ამოიკითხოთ ჩვენს გასართობში.

ქვემოთ მოცემულ ჩამონათვალს მიუსადაგე სიტყვები და ჩაწერე ცარიელ უჯრებში: სახლი, სასახლე, ტაძარი (2), თაღი, ხიდი, კვარტალი, ცენტრი, ტყე, ველი, მუზეუმი (2), კუნძული, სასაფლაო, კოშკი, ბაღი (2), მინდვრები, უნივერსიტეტი, რატუშა, მოედანი.

ფოტოების მიხედვით დანომრე შენ მიერ ამოცნობილი ღირსშესანიშნაობანი.

პონტ-ნეფის	4
ორსეს	7
პომპიდუს	6
ეიფელის	5
ელისეს	9
საკრეკიორის	6
პალე რუაიალის	7
დეფანსის	8
ბულონის	3
სორბონის	12
მარსის	4
სატრიუმფო	4
ლუვრის	7
ნოტრ-დამის	6
ინვალიდების	5
ტიუილრის	4
პერ-ლაშეზის	8
ოტელ დე ვილი	6
ვანდომის	7
სიტეს	7
ლუქსემბურგის	4



ცენტრის რეგიონში მდებარეობს დიუ მულენად წოდებული XV საუკუნის ზღაპრული ციხესიმაგრე, რომელიც მთლიანად წყალში დგას, მის უკან კი ულამაზესი ტყეა.

ესპანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეაერთე წერტილები და დიდი ესპანელი მწერლის

☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐ ცნობილი ნაწარმოების

☐☐☐ ☐☐☐☐☐☐☐ გმირებს

თავადვე დახატავ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

XVI ს-ის დიდი ესპანელი ფერმწერი დიეგო როდრიგეს დე სილვა ველასკესი, ხელოვნების დიდი დამფასებლის, მეფე ფილიპე IV-ის კარის მხატვარი იყო. ველასკესის ეს ცნობილი შედევრი სამეფო ოჯახის კამერული პორტრეტია, სახელად „მენინები“ (ფრეილინები) (Las Meninas).

ნახატი შექმნილია ალკასარის სასახლის ერთ-ერთ ოთახში, საგანგებოდ ველასკესისთვის მოწყობილ ატელიეში. ეპიზოდი ინფანტა მარგარიტასთვის სასმელის მირთმევის ცერემონიას ასახავს, მაგრამ ამ შედევრის თავისებურება ის არის, რომ მხატვარმა ტილოზე გადაიტანა სარკეში არეკლილი სახელოსნო – ასე მოხვდნენ მის ნახატზე მეფე ფილიპე IV და დედოფალი ანა ავსტრიელი, რომლებიც, შორიდან აკვირდებოდნენ მხატვრის მუშაობას; მეფის გოფმარშალი დონ ხოსე ნიეტო; დედოფლის ფრეილინების ზედამხედველი დონა მარსელა დე ულა და ბოლოს, თავად მხატვარი, ველასკესი.

ნახატი

ნახატის შექმნაზე

ინფანტა – ესპანეთსა და პორტუგალიაში: პრინცესა სამეფო ოჯახიდან.
ფრეილინა – მეფის კარზე: დედოფლის ან პრინცესის მხლებელი გაუთხოვარი ქალი თავად-აზნაურთა წრიდან.
გოფმარშალი – ესპანეთის სასახლის კარის უმაღლესი რანგის მოხელე





საფრანგეთის ისტორიული ოლქების დროშები



ელზასი



ოვერნი



ნიკორდია



ლანგედოკ-რუსელიონი



ილ-დე-ფრანსი





ბურგუნდია



ლორენი





ბელფორ-ტერიტორია



ლიმუზენი

3

საფრანგეთის
გერბი

1 ნორმანდია

2 ბურგუნდია

3 ცენტრი

4 სამხრეთი
პირენეები

5 აკვიტანია

6 პუატუ-
შარანტი

7 ალზასი

8 ლანგედოკ-
რუსილონი

9 პიკარდია

10 კორსიკა

11 ლიმუზენი

12 ოვერნი

13 ლუარი

14 შამპან-
არდენი

15 ლორენი

16 ილ-დე-ფრანსი
(პარიზის რეგიონი)

17 ბრეტანი

18 ფრანშ-კონტე

19 ნორდ
პა-დე-კალე

20 პროვანსის ალპები,
ლაჟვარდოვანი ნაპირი

21 რონა-ალპები

საფრანგეთის რუკის კონტურებს მიუსადაგე მოცემული სილუეტები და გაიგებ, სად მდებარეობს ამ ქვეყნის რეგიონები, რუკაზე მოძიებული მხარეები დანომრე და გააფერადე.



Liberté • Égalité • Fraternité

RÉPUBLIQUE FRANÇAISE



1 – ლურჯი, 2 – წითელი, 3 – ყვითელი, 4 – ნარინჯისფერი

საფრანგეთი

1 — ყვითელი, 2 — წითელი, 3 — ვარდისფერი, 4 — ყავისფერი, 5 — ნარინჯისფერი, 6 — მწვანე, 7 — სალათისფერი

© დელა
თბილისი, კოსტავას ქ. №14, ტელ: 93-10-32

მხატვარი: თეა მიქაია

გააფერადე ნახატი მითითებული რიცხვების მიხედვით და გაიგებ, რომელი დღესასწაულით გაითქვა სახელი ქალაქმა პამპლონამ, რას უწოდებენ ამ დღესასწაულის ყველაზე პოპულარულ სანახაობას და მის მთავარ გმირს (ეს ფიგურა შენი გემოვნებით გააფერადე).



ბებო მეძახის თვალებსატულას,
კუდრაჭა ფისოს, თვალებფახულას.
გარეთ ზამთარიც რომ იდგეს მკაცრი,
შემხედავს, იტუვის:
გამოზაფხულდა!
ბოლოს და ბოლოს ჩემი სახელის
თუ ეძინიათ, ალბათ, გამხელის
და გადავწევიტე უცებ, ამ დილით,
გამცნოთ სახელი ჩემი ნამდვილი,
მაგრამ, ვიცოდი, ამ საქმის მოვლა
არ იქნებოდა ასე ადვილი.

ვიფიქრე ბევრი, ბევრი ვიფიქრე.
სურვილიც ლამის გადავიფიქრე,
და სწორედ ამ დროს, ასე ადვილად
ღმერთმა მომხედა, ალბათ, ამ დილას.
ვუხმე კომისრად ცნობილ თანდილას,
თანდილამ მართლაც მიავთანდილა.
მირჩია: წადი, „დილას“ მიმართე,
იგია ჩვენი დიდი საუნჯე,
დიდი დედა და დიდი სინათლე!..
მეც ავდექი და შენთან მოვედი
ვიცოდი, ნუგეშს შენთან ვპოვებდი...
უხმობდი ყველას, ვინც კი ჰოეტობს,
რომ ჩემი დარდი ქვეყნად მოედოთ –
ქვეყნისთვის ემცნოთ ჩემი წადილი,
სახელი ჩემი –
სახე ნამდვილი,
ის, რომ ელენე მქვია სახელად,
ბებოს კი არ სურს ამის გამხელა.

მარიამ წიკლაური

შუქნიშანი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს შუქნიშანს ავალია,
რომ არ მოხდეს ავარია!
სადაც მგზავრის და ტრანსპორტის
ადგილი და სავალია,
საამისო მიზეზები
სამწუხაროდ მრავალია.
მთავარია,
დიდ-პატარას,
ყველას, გვქონდეს მისი რიდი,
წითლად,
ყვითლად,
მწვანედ მაშუქს
არ ეშლება დრო და რიგი.

თუ წითელი ანთია,
სდექ!
არ წადგა ბიჯიც.
გინდა იყო მარდი და
გინდა ზანტი ბიჭი.
თუ ყვითელი ანთია,
ცოტა ხანიც ადროვე,
მალე შეაჩერებენ ან
დაძრავენ ავტოებს.
როცა მწვანე ანთია,
გზა შენია, გასწი!
წესრიგს თუ არ დაარღვევ,
ხარ ნამდვილი კაცი.

მხატვარი
ლელა ტაბლიაშვილი

რომელი ბავშვი არღვევს ქუჩაში მოძრაობის წესებს?

როგორ გაჩნდა ქვეყანაზე ბატი?

მხატვარი ქეთი გივიშვილი





ბოლოს ერთი კვერცხიღა დარჩა. როგორც იქნა, ჭუჭულმა თავი გამოყო.

დედამ ჭუჭულს თავში ნისკარტი წაავლო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გამოქაჩა. პატარას კისერი ჟირაფივით დაუგრძელა, კინალამ თავიც წააწყვიტა. დედას დანარჩენი ჭუჭულებიც მიეხმარნენ და, როგორც იქნა, კვერცხი გატეხეს.

როდესაც დაქანცულმა ნაბოლარამ ფრთები გაისწორა და თავი წამოსწია, გაოცებისგან ყველამ შეჰყვირა — საწყალს ისე დაჰგრძელებოდა კისერი, რომ სულ აღარ ჰგავდა თავის დაძმებს.

დედა იხვმა ნაბოლარას ალერსით გადაუსვა თავზე ფრთა და სახელად ბატი უწოდა. ბატი იხვების ენაზე გრძელკისერას ნიშნავს.

ასე გაჩნდა ქვეყანაზე გრძელკისერა იხვი, ანუ ბატი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ სურგულაძე

დარაჯი შაშვი

თურმე ქათმების ფერმას
დარაჯად ედგა შაშვი.
კარს მისდგომია მელა,
მოუთხოვია საქმე.

მელა, კრუხი და მურია

მელამ კრუხი დაპატიჟა —
წამო ტყეში, გაჭმევ შინდსო.
მაგრამ მურამ გააფრთხილა:
— არ ენდო მაგ უსინდისოს!

„ყიფოსანი"

ცნობილმა ფიზიკოსმა ნილს ბორმა მეორე მსოფლიო ომის დროს ოკუპირებული დანიიდან გაქცევა გადაწყვიტა, მაგრამ ყველაზე ძვირფასი ნივთის — ნობელის ლაურეატის ოქროს მედლის თან წაღება ვერ გარისკა და „სამეფო არაყში" გახსნა. ხსნარით სავსე ბოთლი კი თვალსაჩინო ადგილას დატოვა. ომის დასრულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა ბორმა შენაზავიდან ოქრო ამოიღო და მედლის ახალი მოდელი დაამზადებინა.



მხატვარი
ნათია არველაძე

ყველას გახსოვთ ცნობილი საბავშვო ზღაპარი „ალისა საოცრებათა ქვეყანაში". ალბათ სულმოუთქმელად ჩაიკითხეთ და ისიამოვნეთ. ასევე აღაფრთოვანა ნაწარმოებმა ინგლისის დედოფალი ვიქტორია და მისი ავტორის ყველა სხვა წიგნის შეძენა ბრძანა, მაგრამ... როცა სქელტანიანი წიგნებით სავსე მაგიდას გადახედა, მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა: უმაღლესი მათემატიკის სახელმძღვანელოებმა და გამოკვლევებმა ვერაფრით მოხიბლა დედოფალი. აღმოჩნდა, რომ „ალისას" ავტორი ცნობილი მათემატიკოსი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ლუის კეროლი იყო.

„დილის“ ფოსტა

წერილი „დილას“

ბავშვის გულის გასაღების საპოვნელად უდიდესი ოსტატობაა საჭირო. ამას შენ ძალიან კარგად ახერხებ. შენს მოსვლას ყოველთვის დიდი სიხარულით ველოდებით. მშვენიერი სახელი გქვია – დილა ხომ ახალი დღის დასაწყისია. დილას მზე მოაქვს, მზეს – სიცოცხლე, სითბო და იმედი.

ჩვენ წელს სკოლის დაწყებით საფეხურს ვამთავრებთ და ცხოვრების ახალ საფეხურზე გადავდივართ. წინ დიდი გზაა, მაგრამ არ გვეშინია, შენ ხომ აქ ხარ, ჩვენთან, რამდენ რამეს გვასწავლი და გვირჩევ. ალბათ ცოტათი ჩვენნაირი ხარ და იმიტომ იცნობ ჩვენს სულებს კარგად. სულ დიდივით რომ გველაპარაკებოდე, ვერ გაგიგებდით და არც დაგიჯერებდით.

შენს ყველა ნომერს გულდასმით ვკითხულობთ, გისმენთ, მერე კი ჩვენს სიმბოლურ „ტელეგადაცემებში“ ვაწყობთ „დილის“ ახალი ნომრის განხილვას. ჩვენი საყვარელი მწერლების მოთხრობებსა და ზღაპრებში აღწერილია ბოროტის დამარცხება, სიკეთის გამარჯვება. ეს სიკეთე სინამდვილედ გადაიქცევა, შენი ფურცლებიდან ჩვენს გულებში ინაცვლებს, იქ აღმოცენდება, სიკეთის ნიაღვრად წამოვა, მოედება კაცობრიობას და გამრავლდება!

ვიცი, შენც გიხარია ჩვენთან ყოფნა. ვიყოთ ერთად და ვიაროთ ასე ხელიხელჩაკიდებულებმა დიდობამდე.

ძალიან, ძალიან გვიყვარხარ!

ვ. ესვანჯიას სახელობის საშუალო სკოლა „ცისკარი“
მასწავლებლები: დალი კირვალიძე და ნინო ბრეგვაძე;
მოსწავლეები: ანა ჭინჭარაძე, მარიამ აბაიშვილი, ნანა აბულაძე, ნიკოლოზ აფციაური, პაპუნა ბეგლარიშვილი, ნიკოლოზ გოგოხია, ნინო გრიგალაშვილი, თათია თუთისანი, რუსუდან ლაშქარაშვილი, გიორგი ლობჟანიძე, თორნიკე მამალაძე, სანდრო ნასყიდაშვილი, დეა როსტიაშვილი, ირაკლი სვანიძე, ლაშა ქოქიაშვილი, ნიკოლოზ ღლონტი, სანდრო ჩანტლაძე, თამთა ცნობილაძე, თინათინ ხოდაშნელაშვილი.

გამოცემის 102-ე წელი

გამომცემელი შპს „დილა“

მთავარი რედაქტორი
დოდო წივწივაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ლევან ბაბუხადია

პასუხისმგებელი მდივანი
თამარ ნინიკაშვილი

პოეზია:
მაია წივწივაძე

პროზა:
მაგდა კვაჭანტირაძე

შემეცნებითი და გასართობი მასალები:
ციცინო მეზვრიშვილი

„დილის“ საყმაწვილო ენციკლოპედია
პასუხისმგებელი რედაქტორი
ალეკო გაბელაია

„დილის“ საყმაწვილო ბიბლიოთეკა
პასუხისმგებელი რედაქტორი
ნანა კვარაცხელია

სტილი:
ცისანა ნიკოლაიშვილი

მხატვრობა და დიზაინი:
გია ლაფაური
თეა მიქაია

ტექნიკური რედაქტორი
ნუგზარ ბახტაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ნუგზარ არჩემაშვილი
მარიკა გიორგაძე
სალომე კვაჭანტირაძე

საფინანსო განყოფილება:
ნაირა ცოცხალაშვილი
გუგული ლეშკაშელი

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება:
მაყვალა გიორგაძე
ნანი კაკაჩია

ყდაზე ნახატი:
გიორგი ჩაჩანიძისა

მისამართი:
თბილისი, კოსტავას ქ. №14
ტელ: 93 10 32; 93 41 30
http://www.dila.ge/
ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com

ფასი 2.50 ლარი

b 23/22
F343
2006

ბილოსავით

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

ლაშა გუჯეჯიანი

დათო გოდუაძე

თეკლა გოდუაძე

ელენე გოცაძე

ანა

რატი მეზვრიშვილი

ნიკა მელაძე

სანდრო ღვამიჩავა

მარიამ ძიძიგური

ილია ონიანი

ნიკოლოზ გაბრუაშვილი

ელენე გაჩეჩილაძე

მისამართი: წერეთლის გამზირი №118. საგამოფენო ცენტრი «ექსპო-ჯორჯია», მე-11 პავილიონი.

25 მაისიდან 28 მაისის ჩათვლით გეპატიჟებით წიგნის ფესტივალზე. სადაც «დილა» ბევრ სიურპრიზს დაგახვედრებთ.

ამ პატარა გუდებში თქვენთვის ახალი და ცოტა უცნაური სათამაშოებია: ერთი — მოზრდილთათვის, მეორე — სულ პატარებისთვის. გუდას თავს რომ მოხსნით, საიდუმლოც მაშინ გამჟღავნდება.